# მე-9 არხის ყოფილი რეპორტიორი პოლიციელებმა სასტიკად სცემეს და მას 300-ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმაც „აკიდეს“



თემურ მარშანიშვილი

მე-9 არხის ყოფილი რეპორტიორი ნოდარ სირაძე პოლიციელებმა ჯერ ქ. ოზურგეთში მოქმედ რესტორან „თამარიონში“, ხოლო შემდეგ პოლიციის მთავარ სამმართველოში სასტიკად სცემეს, მეორე დღეს კი მას სასამართლოში 300-ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმაც „აკიდეს“,

პოლიციის ამგვარი მოქმედების შედეგად, სხეულის სერიოზული დაზიანება მიიღო კიდევ ხუთმა თუ ექვსმა ადამიანმა, მათ შორის ერთი მანდილოსანია. ყველაზე მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა ელდარ დობორჯგინიძე, რომელიც სასწაულებრივად გადაურჩა დახრჩობას. გარდა ამისა, სასამართლოს გადაეცა ნოდარ სირაძის ბიძის, ოზურგეთის სახანძრო-სამაშველო სამსახურის თანამშრომლის, ბექა თავდიშვილის საქმე, რომლის გამოქომაგებისთვისაც „გადაუარეს“ მე-9 არხის ყოფილ რეპორტიორს.

ეს ინციდენტი მოხდა 24 მაისს, ქალაქ ოზურგეთში, რესტორან „თამარიონში“, დაახლოებით 17 საათისთვის, როცა ნოდარ სირაძის დეიდაშვილის ქორწილის მეორე დღეს გაშლილი სუფრა ფაქტობრივად დამთავრებული იყო.

ბექა თავდიშვილის ადვოკატის კახა ჩავლეიშვილის თქმით, როგორც მოწმეები და თვითმხილველები ამბობენ, პოლიციას არანაირი საფუძველი არ ჰქონდა, დაეკავებინა ბექა თავდიშვილი და ნოდარ სირაძე.

დაზარალებული ნოდარ სირაძე ადასტურებს, რომ პოლიციელებმა მას მართლაც მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. სრულიად უსაფუძვლოდ ჩატენეს მანქანაში, დაადეს ხელბორკილები და მიიყვანეს პოლიციის მთავარ სამმართველოში, სადაც განაგრძეს მისი ცემა:

„დეიდაშვილის ქორწილის მეორე დღე იყო. სუფრიდან ავიშალეთ. ბიძაჩემი ნასვამი იყო და გარეთ გამოსვლისას გასაღები თავისი მეუღლის დეიდაშვილს გადასცა, თქვენ წადით და მე მოგვიანებით მოვალო. ამ საკითხზე მეუღლესთან წაკამათდა ცოტა, მაგრამ ისეთი ნამდვილად არაფერი მომხდარა, რომ პოლიცია ჩარეულიყო საქმეში.

ამ დროს ეზოში კრიმინალური პოლიციის მანქანა შევამჩნიე, რომელშიც ოთხი პოლიციელი იჯდა. როგორც შემდეგ გავიგე, ესენი იყვნენ გურამ სალუქვაძე, გიგა ხაბულიანი, ლაშა შარაშიძე და პაატა გვარჯალაძე. ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ მგონი გვითვალთვალებდნენ. ათი წუთის განმავლობაში რამდენჯერმე ადგილიც კი შეიცვალეს ეზოში, ხმაურზე ჩვენთან მოცვივდნენ. ყოველ -

გვ-2

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №23 (10113), 8 ივნისი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.



## ბეგლარ სიორიძე: „სამწუხაროდ, ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს არ მოსწონთ ისეთი მერი, რომელიც საქმეს აკეთებს და არ იღებს ქრთამს“

**ალიონი.** გასულ ორშაბათს, 7 ივნისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე მომხდარი" ე. წ. "სკანდალის" შემდეგ, ერთ–ერთი ადგილობრივი მედიასაშუალება ავრცელებს ინფორმაციას, რომ შესაძლოა, ამ კვირიდან ოპოზიციამ ოზურგეთის მერის იმპიჩმენტის კამპანია დაიწყოს. თურმე, დღის წესრიში დგას, რა გზით განვახორციელოთ ეს - საკრებულოდან, ანუ დეპუტატების მეშვეობით, თუ საზოგადოების მხრიდან, იმავე დეპუტატებზე ან თავად მერზე - საზოგადოებრივი აზრის ზეწოლით. ოპოზიციამ უკვე შესაბამისი საკონსულტაციო საბჭოს შექმნაც დაასანონსა.

ამავე მედიასაშუალების ცნობით, გავრცელებული ინფორმაციით, ბეგლარ სიორიძის გადაყენების მოთხოვნით, საზოგადოებრივი მოძრაობის დაწყებაც იგეგმება.

იმპიჩმენტთან დაკავშირებით ქალაქის მერი "ალიონთან" საუბარში აცხადებს:

გვ-2

## ყოფილი პოლიტპატიმრები ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენის მეთოდებს და ტემპს უწუნებენ

### გარდა გათავისუფლებებისა, ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენისთვის არაფერი გაკეთებულა

მარი კოძოევი

21 მაისს „სახალხო კრებამ“ ქ. ბათუმში ერას მოედანზე მრავალათასიანი მიტინგი მოაწყო. 22–ში ღამით აქციის დარბევა დაიწყო. დაიჭირეს აქტივისტები: გოჩა მუხაშავრია, დავით ფარტენაძე, ცოტნე ანანიძე, ხვიჩა გამარჯობაძე, ანზორ სოლომონიძე, დიმიტრი ჭეიშვილი და ოზურგეთელი ვახტანგ სიორიძე.

ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, 85 მსჯავრდებული პოლიტპატიმრის სტატუსით განთავისუფლდა. მათ შორის იყვნენ ბათუმის აქციის მონაწილეებიც. პილიტპატიმრის სტატუსის მინიჭება არ მომხდარა ოზურგეთელი ვახტანგ სიორიძისათვის.

დღეს, ხელისუფლების შეცვლიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ყოფილი პოლიტპატიმრები ამბობენ, რომ გარდა აღნიშნული გათავისუფლებებისა, ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენისთვის არაფერი გაკეთებულა.

განცხადება ამის შესახებ ანზორ სოლომონიძემ, ხვიჩა გამარჯობაძემ და მათმა თანამებრძოლმა გორიდან, ფრიდონ მერებაშვილმა ოზურგეთში სტუმრობისას განაცხადეს. მათი ვიზიტის ოზგანიზატორი ჩვენი გაზეთი, „ალიონი“ იყო. სტუმრები ჯერ მხარის პირველ პირს გია სალუქვაძეს შეხვდნენ,



შემდეგ კი – ჟურნალისტებს, საჯარო სამსახურის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ პირებს.

**ანზორ სოლომონიძე:** „კარგად მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლებაში დამკვიდრდა ანტიეროვნული იდეოლოგია. ქართული საზოგადოება, რომელიც ეროვნული იდეოლოგიით იყო განმსჭვალული, პერმანენტულად აწარმოებდა საპროტესტო გამოსვლებს. ამას მოყვა 2007 წლის შვიდი ნოემბრის, შემდეგ 2011 წლის მაისის მოვლენები, რაც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში კიდევ ერთი ქართული სირცხვილია. ჩვენ ვებრძოდით ანტიეროვნულ იდეოლოგიას, ქართული მიწების გასხვისებას, ქართული მენტალიტეტის ნგრევას და ყველა იმ მანკიერ იდეოლოგიას, რაც თავს მოგვახვია ყოფილმა კრიმინალურმა ხელისუფლებამ. ღვთის წყალობით, მოხდა ისე, რომ გამოჩნდა ჯანსაღი ძალები. ეს იყო იდეა ჩვენი დედა ეკლესიისა, ჩვენი უწმინდესის მეთაურობით. ქვეყანა უნდა გადარჩენილიყო ანტიეროვნული ძალებისაგან. მადლობა უფალს, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც გაიზიარეს დედა ეკლესიის აზრი, ეს იყო ბატონი ბიძინა ივანიშვილი და გამოუცხადა ბრძოლა დემოკრატიული პრინციპე-

გვ-3

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

*ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით*

**საცალო ფასი: 50 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2 ლარი,**
**სამი თვით – 6 ლარი,**
**6 თვით –12 ლარი,**
**ერთი წლით – 24 ლარი.**



***გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.***

***ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.***

***რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.***

***რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.***

***გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.***



## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77



**დაიწყეთ ყოველი ორშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**


# მე-9 არხის ყოფილი რეპორტიორი პოლიციელებმა სასტიკად სცემეს და მას 300-ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმაც „აკიდეს“

გვარი ახსნა-განმარტების გარეშე, ბიძაჩემს ეცნენ ასაყვანად. ბიძაჩემი არ დაემორჩილა, გამაგებინეთ, რა დავაშავეო. გურამ სალუქვაძე კი ემუქრებოდა, კაცი არ ვიყო თუ სამსახური არ დაგატოვებინოო. ყველა იქ მყოფმა გააპროტესტა პოლიციელების ეს ქმედება, არ ვასმევინებდით ბექას მანქანაში. პირადად მე ვთხოვე, აეხსნათ, რატომ მიჰყავდათ, სხვა არანაირი შეურაცხმყოფელი ან გამომწვევი სიტყვა არ დამცდენია. ჯერ მაგინეს, ვინ გეკითხებაო, მერე შენაც წაგათრევთო, მეცნენ, ცემა დამიწყეს, ხელბორკილები დამადეს და, ბიძაჩემთან ერთად, ჩამტენეს მანქანაში. გინება, ცემა-ტყეპა და მუქარა არც მანქანაში დაუკლიათ და არც პოლიციის სამმართველოში, განსაკუთრებით აქტიურობდა გურამ სალუქვაძე. სერიოზული დაზიანებები მივიღე ზურგისა და თვალის არეში.

სანამ წინასწარი დაკავების იზოლატორში მოგვათავსებდნენ, ადვოკატი მოვითხოვეთ. არ გაქვთ მაგის უფლებაო, ტელეფონებიც ჩამოგვართვეს, რომ სადმე არ დაგვერეკა. მეორე დღეს დილით ხელი მოგვაწერინეს და დაახლოებით 12 საათისთვის მიგვიყვანეს სასამართლოში. მოსამართლემ, ისე, რომ მხოლოდ პოლიციელის ჩვენებას დაეყრდნო და სხვა არავინ დაუკითხავს, ადმინისტრაციული 300-ლარიანი ჯარიმა დამაკისრა, თავი დამნაშავედ არ მიცნია, არავისთვის არანაირი შეურაცხყოფა არ მიმიყენებია და იმიტომ.

პროცესი რომ დამთავრდა, დარბაზიდან გამოსულს, შარაშიძემ მითხრა, პროკურორი გიბარებსო. ერთად მივედით პროკურატურაში. პროკურორმა შარაშიძე ჩემთან საუბრის დაწყებამდე გარეთ გამოუშვა. როგორც მივხვდი, პოლიციის სამმართველოში, პირველ სართულზე რომ შემამოწმეს დაზიანებებზე, ის ცნობა ჰქონდა მიღებული. დამაკვირდა და მკითხა, სად მივიღე ეს დაზიანებები. მოვუყევი ყველაფერი. შენი გადასაწყვეტია, თუ აპირებ სარჩელის შეტანას, ბათუმში უნდა წავიდეთ ექსპერტიზაზეო. ნაცემნაგვემი და ნანერვიულები, იმდენად მისავათებული ვიყავი, არა-მეთქი ვუთხარი. ახლა, როცა ყველაფერი გავაცნობიერე, მივხვდი რომ შევცდი. რატომ უნდა შერჩეს ასეთი რამ ვინმეს, ვინც არ უნდა იყოს ის?!“

რაც შეეხება ბექა თავდიშვილს, მის წინააღმდეგ პოლიციის მიერ შეტანილი სარჩელი დღეს მეორედ უნდა განეხილა სასამართლოს და მოსამართლის გადაწყვეტილებით, სხდომა 10 ივნისის 14 საათისთვის გადაიდო.

ადვოკატ კახა ჩავლეიშვილის თქმით, პოლიცის მხრიდან არ ყოფილა არანაირი კანონიერი მოთხოვნა, რომელსაც არ დაემორჩილა თავდიშვილი:

„ასევე არანაირი კანონიერი მოთხოვნა არ ყოფილა პოლიციის მხრიდან, რომელსაც არ დაემორჩილა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი მოქალაქე ბექა თავდიშვილი.

შემდეგ, პოლიციის პატაკები, სამართალდარღვევისა და დაკავების ოქმები წინააღმდეგობაში მოდის თვითმხილველთა განმარტებებთან, განსაკუთრებით კი ერთ-ერთი თვითმხილველის მიერ ტელეფონით გადაღებულ დაკავების ფაქტის ამსახველ ვიდეომასალასთან.

პასუხისგებაში მიცემული პირების განმარტებით, ადგილი ჰქონდა მათთვის არასათანადო მოპყრობას.

ამ დროისათვის სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულია ყველა შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის თაობაზე, თვითმხილველთა მიერ გადაღებული ვიდეომასალების საქმეში ჩართვაზე, ასევე რესტორან „თამარიონის“ ეზოში მდგარი და პოლიციის სამმართველოს შენობაში დაყენებული სათვალთვალო კამერებიდან ვიდეოჩანაწერების ამოღებასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებითი ერთეულებიდან ამ საქმეში არსად არ იკვეთება ადმინისტრაციული დანაშაულის ნიშნები.

პოლიცია, პირველ რიგში, პრევენციულ ღონისძიებებს უნდა იღებდეს. ასეთი არაჯანსაღი დამოკიდებულება კი სერიოზულ დაპირისპირებას იწვევს საზოგადოებასთან. სჯობს საკუთარი ხარვეზების აღმოფხვრაზე იზრუნოს პოლიციამ, ვიდრე იმაზე, რომ ვიღაცას რაღაც აჰკიდოს. ამ ამბავს ხომ 50-მდე ადამიანი უყურებდა. ცოლი ქმარს ეუბნებოდა, სახლში წამოდიო და ქმარი არ მიყვებოდა, – ეს შეიძლება იყოს რაიმე დანაშაულის საფუძველი? ნამდვილად არ იყო ეს სასამართლომდე მისატანი საქმე“.

ბექა თავდიშვილის საქმეზე მორიგი სასამართლო სხდომა, როგორც უკვე ვთქვით, ჩანიშნულია 10 ივნისის 14 საათისთვის.

# ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართი გუბერნიას უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაეცა



**ალიონი**. გასულ კვირას ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს სხდომა გაიმართა.

საკრებულომ მხარი დაუჭირა ორი ა(ა)იპ-ის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისა" და „მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის" გაერთიანებას. რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა ახალი სუბიექტი „ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი" მისი ბიუჯეტი განისაზღვრა 185,3 ათ ლარით. გაერთიანების შედეგად მიღებული ეკონომია 46,4 ათ ლარია. აღნიშნული თანხა გადაუნაწილდა: „ოზურგეთის სერვისცენტრს" – დასუფთავების ღონისძიებებისთვის, სასწრაფო სამედიცინო სამსახურს – ბინის ქირაობისთვის. თანხის ნაწილი მოხმარდება შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურებას.

შეიქმნა დროებითი სამუშაო ჯგუფი ნანული ორაგველიძის ხელმძღვანელობით, რომელიც შეისწავლის ანასეულის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის გასხვისებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

დეპუტატებმა გადაწყვიტეს, რომ სატრანსპორტო მოძრაობის და დგომის სქემა კორექტირებას მოითხოვს და მხარი დაუჭირეს ცვლილებების გეგმას.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ოზურგეთში მ. კოსტავას ქუჩის №1-ში მდებარე უძრავი ქონებიდან მესამე სართულზე არსებული 818 კვ.მ ფართი უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაეცა ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის ადმინისტრაციას მისი არსებობის ვადით.


## იყიდება

**– ყველაზე კეთილმოწყობილი სახლი ოზურგეთში. ტელ. 593 956183.**

**– 90 კვ.მ კომერციული ფართი ოზურგეთში. ტელ. 593 956183.**

**– გადასატანად წაბლის ოთხოთახიანი სახლი და თელავის მარმარილოს თეთრი „კროშკა“. ტელ. 568 400 366.**

**– 3-ოთახიანი ბინა გაგარინის ქუჩაზე, ავტოფარეხისა და საბოსტნე მიწის ფართებით, ხუთსართულიანი კორპუსის პირველ სართულზე. გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად. ტელ. 574 099 219.**


# თემების საკრებულოში ახალი ფრაქცია შეიქმნა

**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე ფრაქცია „ქართული ოცნება –ეროვნული ფორუმი“ რეგისტრაციის საკითხი განიხილეს. აღნიშნულე თემაზე საკითხი საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ წარმოადგინა.

საკრებულოს დეპუტატებმა თანხმობა მისცეს ფრაქციის შექმნას. ფრაქციის თავმჯდომარეა დეპუტატი ბონდო ღლონტი.

# სასკოლო მზაობის პროგრამა იწყება

**ალიონი.** საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საქართველოს განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებამ სასკოლო ასაკთან დაკავშირებით. ამჟამად სამინისტომ წინასასკოლო მზაობის პროგრამა შეიმუშავა. ამ თემაზე გაზეთ „ალიონთან“ კომენტარი ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელმა ეკა ნინიძემ გააკეთა:

განათლების სამინისტროს ინიციატივით, რომელსაც მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტმა, 2015-2016 სასწავლო წელს მხოლოდ ის ბავშვები შეძლებენ სკოლაში შესვლას, რომლებიც 6 წელს შეასრულებენ სასწავლო წლის დაწყებამდე, ანუ 13 სექტემბრის ჩათვლით. შესაბამისად, ბავშვები რომლებიც 6 წელს ასრულებენ 31 დეკემბრის ჩათვლით რჩებიან საბავშვო ბაღში, განათლების სამინისტრომ უკვე შეიმუშავა წინასასკოლო მზაობის პროგრამა და საპილოტედაც შეირჩა რამდენიმე მუნიციპალიტეტი.

ამ ეტაპისთვის, ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ჩართულობით, ქალაქის მერთან მიმდინარეობს მუშაობა დეტალებთან დაკავშირებით.

# შემთხვევითი თუ კარგად ორგანიზებული პანიკა ქალაქში

**ალიონი.** გასულ ხუთშაბათს, დღის 12 საათისათვის ქალაქ ოზურგეთში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ერთ-ერთი სკოლამდელი ასაკის საბავშვო დაწესებულება იწვოდა. მოსახლეობა პანიკაში ჩავარდა. საბავშვო დაწესებულებებში გარბოდნენ მშობლები, ახლობლები, საჯარო მოხელეები, ჟურნალისტები, სხვა მოქალაქეები.

შემდეგ „დააზუსტეს,“ ხანძრის ადრესატი ქ. ოზურგეთის №1 საბავშვო ბაღი იყო. იქ იყო მობილიზებული სახანძრო, სამაშველო და სასწრაფო დახმარების ბრიგადები. საბედნიეროდ, ყოველივე ეს სიცრუე აღმოჩნდა.

ამ თემაზე კომენტარი ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელს **ეკა ნინიძეს** ვთხოვეთ:

– ეს იყო კარგად დაგეგმილი პროვოკაცია, რომელმაც პანიკაში ჩააგდო მთელი ქალაქი. ქალაქ ოზურგეთის საბავშვო ბაღების ფილიალებში სულ 1131 ბავშვია, წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდნენ მათი მშობლები, რომლებმაც ბავშვები უსაფრთხო გარემოში დატოვეს და უცებ ასეთი პანიკა დატრიალდა ქალაქში. ბაღების შენობების წინ მშობელთა რიგები არ წყდებოდა. ფაქტიურად ეს იყო სრული ისტერია.

მობილიზებული იქნა სამაშველო სამსახურები. სახანძრო ბრიგადები, სასწრაფო სამედიცინო დახმარება, ქალაქის მერიისა და ქალაქის საკრებულოს თანამშრომლები.

საბედნიეროდ, განგაში აღმოჩნდა ცრუ. ანონიმური ზარის ავტორი აღმოჩენილი იქნა და იმედი მაქვს, შესაბამისი სამსახურები გამოიძიებენ, ვინ და რატომ დათესა ამხელა პანიკა ქალაქში.

# ყოფილი პოლიტპატიმრები ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენის მეთოდებს და ტემპს უწუნებენ



ბით ყოფილ კრიმინალურ ხელისუფლებას. შედეგად მივიღეთ 2012 წლის პირველი ოქტომბერი. მოხდა პრეცენდენტი და დემოკრატიული გზით, არჩევნებით შეიცვალა ხელისუფლება.

5 დეკემბერს ახალმა პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება – ჩვენთვის მოენიჭებინათ პოლიტპატიმრის სტატუსი. მოხდა ჩვენი გათავისუფლება. სამწუხაროა, რომ ისარგებლეს ბოროტმა ძალებმა, მარტივად მოახერხეს პორტირება ძველიდან ახალ ხელისუფლებაში. მათ არ გააჩნიათ ეროვნულობა, მხოლოდ პირადი ინტერესები აქვთ. ყველაფერზე აწერენ ხელს. ვითხოვთ აღდგეს სამართლიანობა, ფაქტები შეფასდეს სამართლებრივად და დამნაშავეები აღარ იყვნენ დასაქმებულები საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. გადაიხედოს დაპატიმრებების საქმეები, შეისწავლონ დაზარალებული ბიზნესმენების საქმეები, რომლებსაც „ნაციონალებმა“ უკანონოდ ჩამოართვეს ქონება, საკადრო პოლიტიკა მკაცრად უნდა იქნას გადახედილი.

**ხვიჩა გამარჯობაძე:** „მას შემდეგ, რაც პოლიტპატიმრები გაგვათავისუფლეს სამართლიანობის აღდგენის კუთხით არაფერი გაკეთებულა. მეტსაც გეტყვით, დასაქმებულები არიან ის კრიმინალები და დამნაშავეები, რომლებმაც უკანონო განაჩენები გამოიტანეს. ასევეა პოლიციაშიც. აჭარის მაგალითზე შეიძლება ამის თქმა. დაზუსტებით შეიძლება. 70 პოლიციელი, ვინც ჩვენს წინაამდეგ ჩვენების მიცემით ჩინი აიმაღლა და პრემია მიიღო, ისევ მუნდირს ატარებს. ვერ გეტყვით, სამართლიანობის აღდგენა ვერ ხერხდება თუ არ ხერხდება. თავის დროზე შეიქმნა ხარვეზების დამდგენი კომისია, მაგრამ მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა. აკაკის სიტყვების არ იყოს „სახელად კარგია, მაგრამ საზრავად არ ვარგა“. ჩვენი მოკრძალებული, მაგრამ პრინციპული მოთხოვნაა აღდგეს სამართლიანობა, დასასჯელი დაისაჯოს. საპასუხისმგებლო თანამდებობებიდან ჩამოშორდნენ დამნაშავე ელემენტები.“

შეხვედრაზე ითქვა რომ ერთ–ერთი უსამართლობა **ვახტანგ სიორიძის** პოლიტპატიმრის სტარუსის გარეშე დატოვებაა.

**ანზორ სოლომონიძე:** „ვიღაც შეიძლება გულზე მჯიღს ირტყამს, მე ვარ და ჩემი ნაბადიო, მაგრამ ვახტანგი ნამდვილად კარგი კაცია იმიტომ, რომ სამშობლო უყვარს. ეს კაცი ციხეში გასაჩერებელი არ იყო, მეორე ჯგუფის ინვალიდია და მის წინაამდეგ არ შეიძლებოდა სისხლის სამართლის წარმოება. მივმართავ ხელ-ისუფლებას მოხდა ტექნიკური ხარვეზი, ვახტანგ სიორიძე ვერ მოხვდა პოლიტპატიმართა სიაში, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ეს ფაქტი და როგორც გამონაკლისი შეისწავლოთ ვახტანგ სიორიძის საქმე, მიენიჭოს მას პოლიტპატმრის სტატუსი რადგან ის პოლიტიკური მოტივით იყო დაპატიმრებული.“

**ხვიჩა გამარჯობაძე:** „მის გამოშვებას აპირებდნენ, მხოლოდ იმიტომ გადაიფიქრეს, რომ ჩვენ წინაამდეგ ჩვენება არ მისცა. 12 საათის განმავლობაში ცემდნენ, აწამებდნენ, რომ სასურველი ჩვენება მიეღოთ.“

შეხვედრის ბოლოს გურიაში ვიზიტიც შეაფასეს.

„როცა გავთავისუფლდით, პატრიარქმა, მიუხედავად გადატვირთული გრაფიკისა, გამოიჩინა კეთილი ნება და ყოფილ პატიმრებს შეგვხვდა, დაგვლოცა და სათითაოდ ყველას ბიბლია გვისახსოვრა. გურიაში ჩვენი სტუმრობა კეთილი ნების გამოხატვის მეორე შემთხვევაა. მადლობას გიხდით გურულებს, რომ გამოიჩინეთ ყურადღება და მოგვიწყვეთ ასეთი გულთბილი შეხვედრა. ჩვენ კეთილ საქმეში თქვენს სამსახურში გვიგულეთ.

ჩვენ შევხვდით გურიის პირველ პირს მან შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. რასაკვირველია, დაინტერესდა ჩვენი გაცნობით, ბ-ნი გია სალუქვაძე თვითონაც ყოფილი რეჟიმის მსხვერპლი იყო. ამ კაცში დავინახეთ დიდსულოვნება, ეროვნულობა. ჩვენ გვქონდა საქმიანი საუ-ბარი. გამოვთქვით სურვილი, ჩავერთოთ გურიისთვის სასიკეთო საქმეებში. იყო საუბარი ინვესტიციებთან დაკავშირებით. გამოვიყენებთ ჩვენ შესაძლებლობებს, რომ პატარა წვლილი შევიტანოთ გურიის განვითარებაში. მე გახლავართ ეკონომისტი, მაქვს გამოცდილება ამ კუთხით. ასევე არიან წარმოდგენილი ბიზნესმენები, რომლებიც გურიაში ინვესტიციის ჩადებით დაინტერესდნენ. თქვენი კუთხის პოტენციალი დიდია, განვითარება შეიძლება. გურულებს გჩვევიათ, „ელანძე“ ახერხებთ სასიკეთო საქმეს. გუბერნატორი მიესალმება ყველა საქმიან წინადადებას,“ – აღნიშნეს სტუმრებმა.

# ბეგლარ სიორიძე: "სამწუხაროდ, ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს არ მოსწონთ ისეთი მერი, რომელიც საქმეს აკეთებს და არ იღებს ქრთამს"

„სამწუხაროდ, ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს არ მოსწონთ ისეთი მერი, რომელიც საქმეს აკეთებს და არ იღებს ქრთამს. ამ ადამიანებმა კარგად იციან, რაც მათ სურთ, ვერ მოხერხდება, ესენი ემსახურებიან იმას, რომ მოსახლეობაში დათესონ მცდარი აზრი. აქვე გულწრფელად გეტყვით, არ მაღელვებს ეგ საკითხი, არც არასდროს დავკარგავ დროს ამ თავსმოხვეულ, უკვე სისტემატიური ხასიათის მქონე ცილისწამებებზე საპასუხოდ, რადგან წინ გაცილებით საინტერესო, სერიოზული და საპასუხიმგებლო სამუშაოები გველოდება."

როგორც ქალაქის იურიდიულ სამსახურში, ისე საია–ს ოზურგეთის წარმომადგენლობაში გვითხრეს,

მერის/გამგებლის უნდობლობას ეხება საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თქვითმმართველობის კოდექსის" 51–ე მუხლი:

1. გამგებლითვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურის ინიცირების საფუძველია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის ან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 20 პროცენტის წერილობითი ინიციატივა გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ.

2. თუ გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ ინიციატივა ამომრჩევლებს ეკუთვნით, იქმნება საინიციატივო ჯგუფი არანაკლებ 10 წევრის შემადგენლობით. საინიციატივო ჯუფის სიაში მითითებული უნდა იყოს მისი თითოეული წევრის სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი და რეგისტრაციის ადგილი. გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ ინიციატივა საინიციატივო ჯგუფმა კონკრეტულად უნდა ჩამოაყალიბოს. შესაბამისი ინიციატივის თაობაზე განცხადება წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. საინიციატივო ჯგუფის განცხადებასა და საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობას რეგისტრაციაში ატარებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი, რომელიც ამ კანონის მე–12 მუხლის მე–7 პუნქტის შესაბამისად უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებას.

4. საინიციატივო ჯგუფს რეგისტრაციის მოწმობა ეძლევა რეგისტრაციაში გატარების შესახებ მიმართვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმა დასაშვებია თუ დარღვეულია ამ კანონის მოთხოვნები.

5. საინიციატივო ჯგუფს შეუძლია რეგისტრაციაში გატარებაზე უარის მიღებიდან 2 დღის ვადაში გაასაჩივროს იგი შესაბამის (რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, რომელიც საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს 5 დღის ვადაში. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება 2 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 5 დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

6. საინიციატივო ჯგუფი ხელმოწერების შეგროვებას იწყებს რეგისტრაციის მოწმობის მიღების დღიდან. ხელმოწერები გროვდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი ფორმის ფურცელზე. ყოველ ასეთ ფურცელს ხელს აწერს არაუმეტეს 50 მოქალაქისა, რომლებიც თავად წერენ სახელს, გვარს, დაბადების წელს, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნომერს, რეგისტრაციის ადგილს და ხელმოწერის თარიღს. ზემოაღნიშნული მონაცემებით შევსებულ ყოველ ფურცელს ხელს აწერს ხელმოწერების შეგროვებისათვის პასუხისმგებელი პირი, რომელიც უთითებს თავის მისამართს. მისი ხელმოწერა უნდა დაამოწმოს სანოტარო ბიურომ ან საკრებულოს აპარატის შესაბამისმა უფლებამოსილმა პირმა. თუ საკრებულოს არ აქვს დადგენილი შესაბამისი ფურცლის ფორმა, საინიციატივო ჯგუფი ამ პუნქტის მოთხოვნების დაცვით უზრუნველყოფს ხელმოწერების შეგროვებას.

7. საინიციატივო ჯგუფი განცხადების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს ერთი თვისა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ ინიციატივის თაობაზე განცხადებას და თანდართულ ხელმოწერებს, რომლებითაც დასტურდება, რომ ინიციატივას მხარს უჭერს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 20 პროცენტისა.

8. ინიციატივის ამ მუხლის მე–7 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენის ან მის წარდგენაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას განცხადების რეგისტრაციიდან 15 დღის ვადაში იღებს საკრებულოს თავმჯდომარე. ინიციატივის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენაზე უარის თქმა დასაშვებია, თუ დარღვეულია ამ მუხლის მოთხოვნები. საკრებულოს თავმჯდომარის უარი შეიძლება გასაჩივრდეს ამ მუხლის მე–5 პუნქტის შესაბამისად.

9. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე უზრუნველყოფს ინიციატივის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას ამ მუხლის მე–7 პუნქტის შესაბამისად, განცხადების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 20 დღისა. თუ ინიციატივისთვის შემდგომი მსვლელობის მიცემაზე საკრებულოს თავმჯდომარის უარი სასამართლომ არაკანონიერად ცნო, საკრებულოს ინიციატივას განიხილავს სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

10. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა ინიციატივა განიხილება მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 10 დღისა. გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობა გამოცხადებულად ჩაითვლება, თუ ინიციატივას მხარს დაუჭერს საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა. გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადება იწვევს მისი უფლებამოსილების შეწყვეტას.

11. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში უნდობლობის საკითხის დასმა მომდევნო 6 თვის განმავლობაში დაუშვებელია.

12. გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურის ინიცირება და უნდობლობის გამოცხადება დაუშვებელია გამგებლის/მერის არჩევიდან 6 თვის, აგრეთვე გამგებლის/მერის უფლებამოსილების ვადის ბოლო ერთი წლის განმავლობაში.

# ლელა ნაცვალაძე: „შენი ოპოზიცია ვარ პირადად და ამას ვამბობ ხმამაღლა“



**ალიონი.** „დიდება უფალს, სხდომას 41 დეპუტატი ესწრება“ - ამ სიტყვებით დაიწყო დღეს მორიგი საკრებულოს სხდომა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ. მისი სიხარული დეპუტატების 95%-იანი დასწრების გამო, მალე სხვა ვითარებაში გადავიდა. სხდომაზე საკითხების განხილვის დაწყებამდე სიტყვა ქალთა გენდერული საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატმა **ლელა ნაცვალაძემ** ითხოვა:

„მინდა გამოვეხმაური დიმა კვერღელიძის მიერ წინა სხდომაზე გაკეთებულ განცხადებას გენდერული ფრაქციის შექმნისა და ფულების გაფლანგვასთან დაკავშირებით (ამ ფრაქციის შექმას საკრებულომ, მოქმედი დებულებიდან გამომდინარე, მხარი არ დაუჭირა). მინდა განვაცხადო, რომ ამ თემაზე თქვენთანაც მქონდა კონსულტაციები. ნებისმიერი ფრაქციის შექმნა, თუ ის შესაძლებელია, ბიუჯეტის ფლანგვა არ არის. ბატონო დიმა, მე მგონი პოლიტიკური ამნეზია დაგემართა და დაგავიწყდათ ვისზე საუბრობთ. მე ვარ ის ადამიანი, რომელიც ორი თვის განმავლობაში „სეფაში“ ვიჯექი იმისთვის, რომ უკანონოდ მოქმედებდა გამგებელი და მისი გუნდი. გარდა ამისა, თქვენ თავმჯდომარეობას ვუჭერდი მხარს. მე ვარ ის ადამიანი, ოცწლიანი პოლიტიკური მოღვაწეობის განმავლობაში, 12 წელი ოპოზიციაში რომ ვიყავი. დღესაც შენი ოპოზიცია ვარ პირადად და ამას ვამბობ ხმამაღლა. გადახედეთ თქვენ პოლიტიკურ წარსულს, სად იყავით იმ ხნის განმავლობაში და მერე ილაპარაკე ლელა ნაცვალაძეზე, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში საჯარო სამსახურში თუ უმოღვაწია. მრცხვენია, რომ თქვენს გვერდით ვიდექი და ამისთვის ვიხდი ბოდიშს. ძალიან წამგებიან სიტუაციაში ხარ ამჯერად.“.

ლელა ნაცვალაძის ამ წვავე განცხადებას **დიმიტრი კვერღელიძის** რამდენიმე მოკლე რეპლიკა მოჰყვა:

„შენ ყოველთვის შენს სასარგებლო თემებს ეძებ. შენ ხარ სამარცხვინო ადამიანი. შენ ეტყობა, სიზმრებს ნახულობ და რატომ გესიზმრები, მე არ ვიცი. ვითომ ჩემს გვერდით იდექი? შენგან განსხვავებით, რუსულ ძალასთან არ ვიდექი...

„ამაზე სასამართლოში მოუწევს პასუხის გაცემა კვერღელიძეს და ეს არის თქვენი სისუსტე, ბატონო დავით, – მიმართა ნაცვალაძემ საკრებულოს თავმჯდომარეს, – და თუ ასე გააგრძელეთ, ჩათვალეთ, რომ ლელა ნაცვალაძე იქნება თქვენი ოპოზიციაც. მე დავისაჯე ერთგულების გულისთვის... შენ (დიმას მიმართა ამჯერად) იმიტომ ებრძვი ლელა ნაცვალაძეს, გათვლები გქონდა იმისა, რომ ლელა ნაცვალაძე შენ აგიბამდა მხარს, შენ იყავი დავით დარჩიას წინააღმდეგი. სიზმრები თუ მაქვს, შენ არ მესიზმრები ყოველ შემთხვევაში. ვინ არის დიმა კვერღელიძე მაინტერესებს და რატომ ლაპარაკობს უმრავლესობის სახელით?! მივმართავ საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ ლელა ნაცვალაძე დიმა კვერღელიძეს უჩივლებს სასამართლოში ძალიან ბევრი ფაქტების გამო. შენს წარსულს გადახედე, 2012 წლამდე სად იყავი. არჩევნებიდან ოცი დღით ადრე სად იყავი? ფაქტებს დაგიდებ დიმა კვერღელიძე სადაც იყავი და რასაც აკეთებდი. ზუსტად შენ ყვლეფდი ბიუჯეტის ფულებს და საგადასახადოში როცა მუშაობდი, შენ ახორციელებდი თავისუფალ მოქალაქეებზე ზეწოლას. შენ დათო დარჩიას გადაგდება გინდოდა და არ გამოგივიდა“...

– შენთვის უცხოა ეთიკა, მაგრამ მაინც გირჩევ ეთიკურად მოიქცეი – მოუწოდა დეპუტატს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ და ამ ეტაპზე ინციდენტი ამით ამოიწურა....

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აცხადებს კონკურსს სიმბოლოების - გერბისა და დროშის შექმნის მიზნით



კონკურსის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკის: გერბის და დროშის საუკეთესო პროექტის შერჩევა; კონკურსში მონაწილეობა შეუძ-ლია საქართველოს ყველა მოქალაქეს, გარდა საკონკურსო კომისიის წევრებისა. კონკურსი ჩატარებულად ჩაითვლება არანაკლებ სამი ავტორის მონაწილეობის შემთხვევაში. თითოეული ავტორის მიერ წარმოდგენილი პროექტების რაოდენობა შეზღუდული არაა.

გერბის და დროშის პროექტები შექმნილი უნდა იყოს ჰერალდიკის კანონების გათვალისწინებით და მათი შესრულება დასაშვებია ნებისმიერი სახვითი საშუალებით და კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით.

საკონკურსო პროექტს კონკურსანტი წარმოადგენს კონვერტით, რომელსაც უნდა ეწეროს კომისიის დასახელება და მისამართი. კონვერტში მოთავსებული თითოეული პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ზომის ფორმატზე ზედა მარჯვენა კუთხეში ავტორის დევიზის (კოდი) მითითებით და უნდა ერთვოდეს მოკლე შინაარსობრივი აღწერა-დასაბუთება.

გერბი გამოსახული უნდა იყოს ჰერალდიკურ (ფრანგულ) ფარზე. გერბის ფარის ზემოდან მოთავსებული უნდა იყოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამომსახველი ვერცხლის სამ კოშკიანი, ქონგურებიანი გვირგვინი. დევიზის ბაფთაზე გამოსახული უნდა იყოს წარწერა: ოზურგეთი.

კონკურსში მონაწილეობა დასტურდება კომისიის მიერ გერბის და დროშის დალუქული კონვერტის მიღებით, რაც იმავდროულად ნიშნავს კონკურსის ზემოთ ჩამოთვლილი პირობების მიღებას კონკურსში მონაწილის მიერ.

კონკურსი გამოცხადდა 2015 წლის 3 ივნისს.

კონკურსის ნამუშევრების წარდგენის ბოლო ვადაა 2015 წლის 27 ივნისი.

შედეგები გამოცხადდება 2015 წლის 30 ივნისს.

კონკურსში გამარჯვებულისთვის დაწესებულია ჰონორარი 3000 ლარი.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი ; მის: ქ.ოზურგეთი. კოსტავას ქ. 1; საკონტაქტო ტელ: 599 98 39 00. ელ.ფოსტა: **ozurgeti.sakrebulo-@gmail.com. www.ozurgeti.org.ge fb page**: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:

**http://ozurgeti.org.ge/wp-content/uploads/2014/11/gankarguleba62-danarti1.pdf**

# ციფრული ტელევიზია - კომფორტული სიახლე

საქართველოს მოსახლეობა მიწისზედა ანალოგური ტელევიზიის ციფრულ სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლისათვის ემზადება. ზოგი მათგანი ახალ მოწყობილობებსაც ყიდულობს. სხვები კი ცვლიან პლატფორმას, რომლის მეშვეობითაც სატელევიზიო სიგნალს იღებენ. ტელევიზიის ციფრულ სატელევიზიოქსელზე გადასვლის პროცესის დასრულება 17 ივნისისთვისაა დაგეგმილი. დათქმულ ვადამდე თვეზე ნაკლები დრო რჩება. თუმცა საზოგადოებაში მომავალ ცვლილებებზე ინფორმაცია არასაკმარისია. ამ საკითხზე ჩვენი მკითხველებისგან მივიღეთ კითხვები და გვინდა, რამდენიმე მათგანს ვუპასუხოთ:

**რას ნიშნავს მიწისზედა ტელევიზიის გაციფრულება?**

ციფრულ სატელევიზიო ქსელზე გადასვლა არის პროცესი, რომლის დროსაც ანალოგური მიწისზედა სატელევიზიო სიგნალი შეიცვლება ციფრული სატელევიზიო სიგნალით. შედეგად ვიღებთ სატელევიზიო სიგნალს, რომელსაც უმაღლესი ხარისხის ხმა და გამოსახულება აქვს.

**რა შეიცვლება ჩემთვის გაციფრულების შემდეგ?**

ციფრულ სატელევიზიოქსელზე გადასვლის შემდეგ ტელევიზორის ყურება უფრო სასიამოვნო პროცესი გახდება, რადგან აღარ იქნება ხაზები ეკრანზე, ხმის ხარვეზები ან სხვა მსგავსი პრობლემები, რომლებიცანალოგური მიწისზედა მაუწყებლობისათვის იყო დამახასიათებელი.

**17 ივნისამდე მომზადება თუ ვერ მოვასწარი, სატელევიზიო ჩვენებას დავკარგავ?**

ციფრულ სატელევიზიომაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ, თუ თქვენ არ გექნებათ ციფრული ტელევიზია ან სეთ—-თოფ—ბოქსი, ტელევიზორის ყურებას ველარ შეძლებთ. თუმცა, თუ ამჟამად ტელევიზორს სატელიტის ან ინტერნეტის (I თV) მეშვეობით უყურებთ, 17 ივნისს თქვენთვის არაფერი შეიცვლება.

**როგორ შემიძლია ციფრული სატელევიზიო სიგნალის მიღება?**

ზოგადად, ციფრული სატელევიზიო სიგნალი გადაცემის ერთ პლატფორმაზე მიბმული არ არის. მისი მიღება განსხვავებული გზებითაა შესაძლებელი და მათ შორისაა: ანტენა, სატელიტი, კაბელი და IPTV. სატელიტი და IPTV უკვე ციფრულია. თუ რომელიმე მათგანის მომხმარებელი ხართ, თქვენ ციფრულ სიგნალს უკვე იღებთ. თუ ციფრული სიგნალის მიღება მიწისზედა ქსელის მეშვეობით გსურთ, მოგიწევთ იყიდოთ სეთ—თოფ—ბოქსი ან ტელევიზორი, რომელსაც სეთ—თოფ—ბოქსი აქვს ჩამონტაჟებული.

**ციფრული სატელევიზიო სიგნალი სოფლებსა და მიუდგომელ რეგიონებსაც დაფარავს?**

მიუდგომელ ტერიტორიებზე ციფრული სატელევიზიო სიგნალის მიღება დამოკიდებულია პლატფორმაზე, რომლის მეშვეობითაც სიგნალს იღებთ. მაგალითად, სატელიტურ სატელევიზიო სიგნალს ერთდროულად დიდი რაოდენობის მაყურებლის დაფარვა შეუძლია განსხვავებულ გეოგრაფიულ არეალებში და ქვეყნის ყველაზე მოშორებული რეგიონების მოსახლეობასაც მოიცავს. ამისათვის კი დამატებითი ინვესტიციები საჭირო არაა. **IPTV-**ის შემთხვევაში კი სოფლების დაფარვა უფრო გაძნელებულია.

# მერია-ლაითურის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობის დასამთავრებლად მუნიციპალიტეტმა 320 ათასი ლარი გამოყო

**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მერია-ლაითურის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობის დასამთავრებლად 320 ათასი ლარი გამოყო.

საკრებულოს სხდომაზე საკითხი მუნიციპალიტეტის 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა გია მამაკაიშვილმა წარმოადგინა.

დეპუტატმა ნაციონალური მოძრაობიდან მიხეილ გოგოტიშვილმა დასვა კითხვა— თუ რამდენი ჯდება საბოლოოდ მდინარე ნატანებზე მერია-ლაითურის ხიდის მშენებლობა.

გია მამაკაიშვილმა გასცა პასუხი, რომ სავარაუდოდ, ამ ხიდის მშენებლობა სახელმწიფოს 2,5 მილიონი ლარი უჯდება.

# გამოფენა ოზურგეთის სამხატვრო სკოლაში...

**ალიონი.** ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლაში წარმოდგენილი იყო დამამთავრებელი მე-6 (ვახტანგ მამეიშვილის კლასი) მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ბექა ხინთიბიძის, გიორგი კონტრიძის, შალვა ჩავლეიშვილის, ნონა ბურჭულაძის, ელენე ინწკირველის, ქეთევან გიორგაძის, დარინე წიტაიშვილის ნამუშევრები.

გამოფენას ესტუმრნენ გურიის გუბერნატორი **გია სალუქვაძე,** პირველი მოადგილე **ქეთი მოისწრაფიშვილი**, ქალაქის მერი **ბეგი სიორიძე.**



გურიის გუბერნატორმა ნიჭიერი ახალგაზრდის, ბექა ხინთიბიძისადმი თანადგომის სურვილი გამოთქვა.

ვულოცავთ სამხატვრო სკოლის დირექციას და ვახტანგ მამეიშვილის აღზრდილებს ამ წარმატებას!

# მუსიკალურ-გასართობი პროგრამა და საიუბილეო ტორტი 1 ივნისს დაბადებული ბავშვებისთვის

**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა ყოველთვის კარგ ფორმაშია და ჩვეული ოსტატობით განაგრძობს ორიგინალური ღონისძიებების ჩატარებას. ამ ნიშნით უთუოდ გამოირჩეოდა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს აქ გამართული მუსიკალურ-გასართობი პროგრამაც, რომელსაც ახალგაზრდა მსახიობი მარი ხანთაძე უძღვებოდა. 2015 წლის 1 ივნისი, ალბათ, არასოდეს დაავიწყდებათ დღის იუბილარებსა და ღონისძიების მონაწილეებს.



იუბილარები კი გახლდათ: ქალაქ ოზურგეთის №1 საჯარო სკოლიდან — ბაირამ ბათუჰანისა, მეორე კლასის მოსწავლე და გიზო ფასიეშვილი — IX კლასის მოსწავლე; წმინდა ნინოს სამრევლო სკოლიდან — ქრისტინა სიხარულიძე, IX კლასის მოსწავლე; წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლიდან — მარიამ ტაბატაძე, IV კლასის მოსწავლე და ჯაბა ნიკოლაშვილი, VI კლასის მოსწავლე; №4 საჯარო სკოლიდან — სერგეი სარჯიანი, IV კლასის მოსწავლე; №2 საჯარო სკოლიდან — ლიზი ახვლედიანი, III კლასის მოსწავლე.

ღონისძიების ბოლოს იუბილარებმა და ღონიძიების მონაწილეებმა დიდი საიუბილეო ტორტი დააგემოვნეს.

# ჯუმათში საცხოვრებელი სახლი დაიწვა

**ალიონი.** გასულ ორშაბათს, სოფ. ჯუმათში მზია კვაჭაძის საცხოვრებელი სახლი დაიწვა. ხანძრის მიზეზი ჯერ-ჯერობით უცნობია. მეხანძრეებმა ვერ შეძლეს სახლის გადარჩენა.

დაზარალებულ ოჯახში მივიდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე, რომელმაც მათ დახმარება აღუთქვა.

# სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის მესამე ტურში ოზურგეთელმა ზურა თავართქილაძემ გაიმარჯვა

## ოზურგეთის მეოთხე საჯარო სკოლის მოსწავლეთა წარმატების კიდევ ერთი საყოველთაო აღიარება

სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის მესამე ტურის გამარჯვებული ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე ზურა თავართქილაძე გახდა. ვულოცავთ მას ამ დიდ გამარჯვებას და ახალ-ახალ წარმატებებს ვუსურვებთ.



# ზეიმი ბუკისციხეში

ნუგზარ ასათიანი



**ალიონი.** გასულ ხუთშაბათს სოფ. ბუკისციხის საჯარო სკოლაში (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი) ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის გურიის ორგანიზაციამ, დაბადების 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო გაუმართა ცნობილ სახელმწიფო და სამეურნეო მოღვაწეს, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტს, მეცნიერებათა მრავალი აკადემიის ნამდვილ წევრს, ბატონ ნუგზარ ნადარაიას.

ღონისძიება ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის გურიის ორგანიზაციის თავმჯდომარე რევაზ თედორაძეს მიჰყავდა. მან მისასალმებელი სიტყვის შემდეგ ნობათით სავსე ხურჯინი და ჩარექით ბუკისციხის „ცოლიკაური" უსახსოვრა საპატიო სტუმარს.

ნუგზარ ნადარაიას მიესალმნენ ბუკისციხის საჯარო სკოლის დირექტორი ციალა მახარაძე, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ოზურგეთისა და ჩოხატაურის ორგანიზაციების ხელმძღვანელები ნუგზარ ასათიანი, ალეკო კვინტრაძე და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს საპატიო სტუმარს.

სტუმართა და გამომსვლელთა შორის იმყოფებოდნენ: ქ. ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გია დარჯანია, ქ. ფოთის ყოფილი მერი გერონტი კუხალეიშვილი, ბიზნესმენი გოგი გუდავაძე და სხვები.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებულმა ანსამბლმა „გურიამ" თავისი ხელოვნება უჩვენეს სტუმრებს. ბუკისციხელმა მოსწავლეებმა ქორეოგრაფიული ნომრები შეასრულეს.

ნუგზარ ნადარიამ ფაზისის საერო-სასულიერო აკადემიის წევრის მოწმობა გადასცა პოეტსა და ჟურნალისტს თემურ მარშანიშვილს.

# ეთნიკური ნიშნით ბავშვთა დისკრიმინაცია გააპროტესტეს

1 ივლისს, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის" (აპკ) გურიის რეგიონული პარლამენტის ინიციატივით, გაიმართა ბავშვთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი აქცია, რომელიც ჩატარდა ორგანიზაციაში მიმდინარე ადვოკატირების კამპანიის „მე ბოშა ვარ" ფარგლებში.

აქციის მიზანია ბავშვთა უფლებების პოპულარიზაცია, ეთნიკური უმცირესობების, კერძოდ, ბოშების საზოგადოებაში ინტეგრაციის თემის აქტუალიზაცია.

აქციაში მონაწილეობა მიიღო ხსენებულ პარლამენტში ჩართულმა სკოლებმა და ის თანადროულად ჩატარდა ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში, ასევე თბილისში.

აქციის მხარდამჭერია აპკ-ს ლიდერთა სკოლა, რომელიც თბილისსა და ლანჩხუთში ჩაერთო აქციის ორგანიზების პროცესში.

აქციიის მონაწილეებმა ქუჩაში მოაწყვეს ფლეშმოფი. გაიმართა მსვლელობა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში, სადაც ბოშების ეროვნულ კოსტუმებში გამოწყობილმა ბავშვებმა გააპროტესტეს ეთნიკური ნიშნით ბავშვთა დისკრიმინაცია, მათი განათლების, ჯანმრთელობის და სხვა საბაზისო უფლებების შეზღუდვის ფაქტები.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები ბავშვთა უფლებებს აღიქვამენ პრიორიტეტულ საკითხად.

ქვეყანაში თანასწორობა უნდა იყოს უმთავრესი ღირებულება, ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-2 მუხლი იცავს, ბავშვს ყოველგვარი ფორმის დისკრიმინაციის კანის, რასის, ეთნიკური კუთვნილების და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად.

# „ჩემი ხატია სამშობლო"



5 ივნისს, 1 საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლეებმა აკაკი წერეთელს მიუძღვნეს 175-ე წლის იუბილესთან დაკავშირებით მოაწყვეს მხატვრულ-ლიტერატურული კომპოზიცია „ჩემი ხატია სამშობლო". მოსწავლეებმა შესანიშნავად გადმოსცეს აკაკის ცხოვრების დეტალები. ღონისძიების დასასრულს მოსწავლეებმა გადაიღეს სამახსოვრო სურათები.

# კურიოზები

## რუბრიკის პრემიერა

**იყო პერიოდი, როცა ანასეულში ფუნქციონირებდა მსოფლიოში ცნობილი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, სადაც, დამხმარე პერსონალთან ერთად, 500-მდე თანამშრომელი მუშაობდა. მე ამ სამივე დაწესებულებაში სხვადასხვა დროს 47 წელი ვიმუშავე და აქედან გავედი პენსიაში. ბუნებრივია, იმ დიდ მეცნიერულ მუშაობასთან ერთად, რასაც აქ ეწეოდნენ, ხდებოდა ცხოვრებისეული კურიოზებიც, რომელთა შესახებ მინდა, დრო-დადრო მოვუთხრო „ალიონის" მკითხველს. დღეს მხოლოდ ერთ კურიოზს გაგაცნობთ, რომელშიც, რასაკვირველია, მოგონილი არაფერია.**

## ხან ჩვენ ვკოცნით, ხან – იგინი

არც ისე შორეულ წარსულში, სოფელ მერიაში მოქმედებდა სამხედრო აეროდრომი, რომლის უფროსი გახლდათ პოლკოვნიკი ივანე ვასილის ძე ხანიგინი. მას ჰყავდა საკმაოდ სიმპათიური მეუღლე, ნინა სერგეევნა, რომელიც მაშინდელი მახარაძის რუსულ საშუალო სკოლაში ისტორიას ასწავლიდა. ხანიგინებს „ვილისის" მარკის ავტომობილი ემსახურებოდა და ხან ერთად, ხან კიდევ ცალ-ცალკე ხშირად გვსტუმრობდნენ ანასეულში.

ერთხელ, ნინა სერგეევნას მოსვლა პროფესორ ივანე ხოჭოლავას სტუმრობას დაემთხვა. ქალბატონს ჩაით გავუმასპინძლდით. ის ცოტა ხანი დარჩა და წავიდა.

— ვინ იყო, ბატონო არსენ, ეს სიმპათიური ქალბატონი? — მკითხა პროფესორმა.

— ცოლი გახლავთ ხანიგინის, ხან ჩვენ ვკოცნით ხან — იგინი, — უპასუხა ჩემს მაგივრად თამაზ სალუქვაძემ, რომელიც მაშინ ჩვენთან გამომცემლობაში მუშაობდა.

მე, რა თქმა უნდა, დავეთანხმე თამაზს.

**არსენ კეჭაყმაძე**

# პრემიერა ოზურგეთის თეატრში

**ალიონი.** 9-10 ივნისს, ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში პრემიერა გაიმართება. ახალგაზრდა რეჟისორი ლევან ხვიჩია უილიამ შექსპირის პიესას „აურზაური არაფრის გამო" დგამს. შექსპირის ეს კომედია იშვიათად იდგმება ქართულ თეატრში. ოზურგეთის თეატრი კი ამ პიესას პირველად ახორციელებს.




ლევან ხვიჩია ახალგაზრდა რეჟისორთა პლეადის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელია, რომელმაც რობერტ სტურუას სახელოსნო დაამთავრა და არა ერთი სპექტაკლი განახორციელა რუსთაველის თეატრშივე. მას სპექტაკლები დადგმული აქვს ასევე თელავის სახელმწიფო დრამატულ თეატრშიც.

ახალგაზრდა რეჟისორთან ლევან ხვიჩიასთან ერთად, საპრემიერო სპექტაკლზე იმუშავეს ცნობილმა ქართველმა სცენოგრაფმა, მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატმა ლომგულ მურუსიძემ, კოსტიუმების მხატვარმა ქეთევან ციციშვილმა და ქორეოგრაფმა მარიკა ქვეთაიამ. რეჟისორის ასიტენტია მაკა მამულაიშვილი. სპექტაკლში ოზურგეთის თეატრის სამივე თაობის მსახიობები მონაწილეობენ.

მაყურებელი სპექტაკლში იხილავს საქართველოს დამსახურებულ არტისტებს ომარ ურუშაძეს და ნუგზარ ბარამიძეს. მათ პარტნიორობას უწევენ ირაკლი ვადაჭკორია, ლევან საღინაძე, გიორგი დოლიძე, ვახტანგ ჩხარტიშვილი, თემურ კვირკველია, ზვიად ჯორბენაძე, გენადი ნიკოლაიშვილი, ანი გოდერძიშვილი, შორენა გვეტაძე, თეა კეჭაყმაძე, ივანე ჩხაიძე.

საპრემიერო ჩვენებები ოზურგეთის თეატრში ივნისის ბოლომდე გაგრძელდება.

# „ჯეო-კლასიკი" ყველაზე ინტელექტუალურია



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ინტელექტუალური თამაშების საგაზაფხულო ჩემპიონატის 3 თვიანი მარათონის შემდეგ შედგა ფინალური შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდა ოთხი საუკეთესო გუნდი: ქვემო ნატანების „ჯეო-კლასიკი", ზემო ნატანების „შერეკილები," შემოქმედის „ლოგოსი" და ვაკიჯვრის „ინტელიგენტი". ჩემპიონატი ჩატარდა 4 ტურად, სადაც მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის 30 გუნდი. ფინალი სატელევიზიო ვერსიით ჩატარდა.

ტურების მიხედვით მათი რაოდენობა ნელ ნელა მცირდებოდა და ფინალში საუკუთესო ოთხეული მოხდა. ფინალი საკმაოდ საინტერესო და დაძაბული გამოდგა

ჩემპიონობა არავის დაუთმო ქვემო ნატანების „ჯეო-კლასიკმა". მეორე „შერეკილები" იყო. მესამე — „ლოგოსი".

ჩემპიონატის ორგანიზატორები იყვნენ: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, გამგეობის კულტურის, სპორტის, ტურიზმის განვითარების სამსახური და ცენტრი, სოციალური დაცვის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. გამარჯვებულებს გადაეცათ დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ინტელექტუალური თამაშების ფუძემდებელი ავთანდილ სირბილაშვილი მადლობას უხდის ყველა თანამშრომელს გვერდში დგომისათვის და წარმატებას უსურვებს გამარჯვებულ გუნდებს.

# „მომავლის თაობა" – წლის შემაჯამებელი ღონისძიება

2015 წლის 5 ივნისს გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრში გაიმართა სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა" წლის შემაჯამებელი ღონისძიება, სადაც სამიზნე სკოლების მოსწავლეებმა და სამოქალაქო განათლების პედაგოგებმა წარმოადგინეს თავიანთ სკოლებში განხორციელებული ინიციატივები. პროგრამის წარმომადგენლებმა ისაუბრეს საქართველოსა და გურიის რეგიონში განხორციელებულ საქმიანობებსა და მიღწეულ შედეგებზე.

შეხვედრაზე მოსწავლეებმა ისაუბრეს ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებული ინიციატივების შესახებ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ პროგრამის სამიზნე სკოლების მოსწავლეები, სამოქალაქო განათლების პედაგოგები და სკოლების დირექტორები, ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები სამივე მუნიციპალიტეტიდან, გუბერნიის წარმომადგენლები და ჟურნალისტები

სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომავლის თაობას" ახორციელებს PH IInternational ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. პროგრამა საქართველოს 11 რეგიონში მიმდინარეობს. გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი პროგრამის განმახორციელებელი პარტნიორია გურიის რეგიონში.

# 100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

## ჯონ ბალჩინის წიგნიდან „ქვანტური ნახტომი“



**ალექსანდე ვოლტა** (1745-1827). 1775 წელს ვოლტამ გამოიგონა ელექტროფორეზი, სტატიკური ელექტრობის წარმოსაქმნელად და შესანახად. 1778 წელს აღმოაჩინა მეთანის გაზი. 1800 წელს ქმნის „ვოლტას სვეტს“ – პირველ ბატარეას, რამაც რევოლუცია შეიტანა ელექტრობის შესწავლაში.

**ედუარდ ჯენერი** (1749-1823). 1796 წლის 14 მაისს ედუარდ ჯენერმა მწველავ ქალს აღმოუჩინა საქონლის ყვავილი – მან აიღო სითხე გამონაყარიდან და 1796 წლის 1 ივლისს ეცადა 8 წლის ბავშვი ყვავილით დაეინფიცირებინა. ბიჭი არ დაავადდა და გახდა პირველი ადამიანი მსოფლიოში, რომელიც აიცრა ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ.

ყვავილი იყო შეუბრალებელი ეპიდემიური დაავადება, რომელიც ხუთიდან ერთ მსხვერპლს კლავდა.

ჯენერს არასდროს უფიქრია გამდიდრებულიყო საკუთარი აღმოჩენით. მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე, მიღწევის დანერგვის მცდელობისას, მძიმე ფინანსურ გაჭირვებაში იმყოფებოდა. მისი კერძო პრაქტიკა კი უგულებელყოფილი იყო. იგი ყოველთვის მიყვებოდა თავისი მენტორის ჯონ ჰანტერის რჩევას – რატომ უნდა იფიქრო მხოლოდ? რატომ არ უნდა სცადო ექსპერიმენტირება? ჯენერმა პირველმა შეამჩნია, რომ ახალგამოჩეკილი გუგული (და არა მოზრდილი) ბუდიდან სხვა კვერცხებს ყრის.





**ჯონ დალტონი** (1766-1844). დალტონის თეორიამ ატომის შესახებ სერიოზული ცვლილებები შეიტანა ქიმიისა და ფიზიკის საფუძვლებში. 1803 წელს მან ზოგადად ჩამოაყალიბა ატომური თეორია. მასვე ეკუთვნის წნევის კანონი (1801), რომლის მიხედვითაც აირების ნარევის წნევა ეკვივალენტურია თითოეული ერთნაირი მოცულობის აირის მიერ წარმოქმნილი მთლიანი წნევისა.

დალტონმა ასევე ახსნა, რომ ჰაერი არის დამოუკიდებელი აირების ნარევი და არა ერთი. იგი იყო პირველი, ვინც გამოაქვეყნა ეს კანონი.

ჯონ დალტონმა აღმოაჩინა აგრეთვე „ნამის წვეთი“, რაც წყლის ორთქლიდან წარმოიშობა და რომელიც სხვა აირებთან თავსებადია. გამოთქვა ჰიპოთეზა მისტიური ჩრდილოეთის ნათების „ავრორას“ მიზეზების შესახებ. მისი შემდგომი მეტეოროლოგიური დაკვირვებები მოიცავს გამომწვევი მიზეზების მტკიცებულებას, რომელიც დამოუკიდებელია ტემპერატურის დაცემასა და არა წნევაზე.

მისი ნაწერები ფერების განურჩევლობის შესახებ (რითაც ის თავისთან ერთად იტანჯებოდა) ამ პრობლემის პირველ პუბლიკაციად იქცა და ცნობილი გახდა დალტონიზმის სახელით.

ინგლისელი მეცნიერის დიდ დამსახურებად ითვლება მეტეოროლგია, რომელიც ფოლკლორზე დაფუძნებული ხელოვნების შთაბეჭდილებებიდან მან ნამდვილ მეცნიერებამდე მიიყვანა და თუ რამდენად სწორია ეს, დღესაც საკამათოა.



**ანდრე-მარი ამპერი** (1775-1836). ელექტრომაგნეტიზმის მეცნიერების დამფუძნებელს ამპერს არ ჰქონდა პირადი ბედნიერი ცხოვრება. 1803 წელს მისი ცოლი ბავშვის დაბადებიდან მალევე გარდაიცვალა. მოგვიანებით მეცნიერმა მეორე ცოლი შეირთო, მაგრამ ბედნიერი არ ყოფილა.

1827 წელს უამრავი კვლევის შედეგებმა ის მიიყვანა ამპერის კანონამდე – კიდევ ერთი მსოფლიო დონის აღმოჩენამდე, რაც დაიწყო ნიუტონის კანონით სამყაროს გრავიტაციის შესახებ. კანონის მიხედვით მაგნიტური ძალა ორ მავთულს შორის კვადრატულად დაკავშირებულია დენზე და მათ შორის მანძილზე. თუ მანძილი მავთულებს შორის ორმაგდებოდა, მაგნიტური ძალა მცირდებოდა ოთხჯერ.

ამპერმა ასევე შექმნა მოწყობილობა სოლენოიდი, რომელიც ძირითადად გამოიყენება საათებსა და სარქველებში, სადაც მექანიკური მოძრაობაა საჭირო.

გამოიგონა გალვანომეტრიც, რომელიც ზომავს ელექტრული დენის ნაკადს – მაგნიტური ისრის გადახრის საშუალებით.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ელექტრული დენის ერთეულს ამპერი ჰქვია.

# სკანვორდი






# წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე: მარინა თბილელი; აფრიკის უმაღლესი მწვერვალი – კილიმანჯარო; ყველაზე მოკლე გვარი – ლი; მდინარე ისრაელში – იორდანე; ისლანდიის დედაქალაქი – რეიკიავიკი; ანბანის მეხუთე ასო – ე; ... ბალთა – ალთა; პლანეტა – იუპიტერი; საცხენოსნო სპორტი – ისინდი; ყვავილი – ია; წვერი ნიკაპზე – ბლანჟე; ნაკურთხი წყალი – აიაზმა; ძეხვეული – სოსისი; ევკტერი – აკანო; საკერავი ინსტრუმენტი – ნემსი; ავადმყოფი – სნეული; ყვავილი – იასამანი; პატარა – ციდა; წონის ერთეული ფარმაკოლოგიაში – ასთირი; ქართული რიტორიკული კრებული – იადგარი; რეპტილიან – ნიანგი; რკინის მჭამელი – ჟანგი; ერთგვარი თიხა – თირი; ყვითელი ძვირფასი ქვა – ქარვა; სოლო ოპერაში – არია; გერმანული საკერავი მანქანა – ზინგერი; ცნობილი უნგრელი ფეხბურთელი – ბენე; სახელმწიფო ევროპაში – გერმანია; ნადირთა მწყემსი – ოჩოპინტრე; მინის ჩხირი – წკირი; ფრინველი – გნოლი; კაცის სახელი დამიანე; ზღვის მორიელი – ჩიქვი; დიახ – ჰო.

# ოზურგეთელი ISAF-ლები



2001 წელს დაიწყო ISAF-ის მისია. 2009 წლის შემოდგომიდან საქართველოდან 11 ათასამდე სამხედრო მონაწილეობდა ამ მისიაში, რომელთაგან სამწუხაროდ 29 დაიღუპა, ორ ასეულზე მეტი კი დაიჭრა. ISAF-ში მონაწილე NATO-ს არაწევრ ქვეყნებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი გახლდათ საქართველოს მისია 1600–მდე მებრძოლი.

დღეისათვის საქართველო აგრძელებს მისიას ავლანეთში. 2015 წელს ერთი ქვეითი ბატალიონი და ერთი ასეული ეყოლება. ავლანეთის მისიაში ოზურგეთიდან ბევრი ჯარისკაცი მონაწილეობდა. მათ შორის ბევრი გმირულად დაიღუპა. ერთერთი ასეთი გახლდათ ოზურგეთელი ახალგაზრდა **გია გოგუაძე.** დაიბადა 1990 წლის 4 ოქტომბერს ოზურგეთში. სამხედრო სამსახურში წასვლის გადაწყვეტილება სკოლის დამთავრების შემდეგ მიიღო. ოჯახთან შეუთანხმებლად საკონტრაქტო სამსახურს მოაწერა ხელი და შემდეგ გააცნო მისი გადაწყვეტილება ოჯახს. უპრიანია ამ ახალგაზრდა კაცის შესახებ ყველაფერი მისი დედის ნინო გოგუაძის მოგონებიდან გავიგოთ: ,,სამხედრო სამსახურში წასვილის სურვილს ბავშობიდან ამჟღავნებდა, ცაცია იყო მარცხენა ხელით ხის ავტომატს ბავშობიდან ამზადებდა. იმაზე წუხდა, რომ ასაკი არ უწყობდა ხელს. თავიდან მისი გატაცება უბრალო ახირება ვთლიდით რომ დროსა და ასაკთან ერთად მისი შეხედულებები შეიცვლებოდა. მით უფრო რომ სპორტული მიღწევები ჰქონდა და კარგ კალათბურთელად ითვლებოდა. სკოლის დამთავრბის შემდეგ თბილისში წავიდა და შინ დაბრუნებულმა თავისი გადაწყვეტილება გაგვაცნო: დედა მე ჩემი ბავშობის ოცნება უნდა ავისრულო და ჯარში უნდა წავიდეო. ძალიან ვღელავდი და ვნერვიულობდი. მისი სიტყვები კი იყო: პატივი ეცით ჩემს გადაწყვეტილებას, მე ბავშვი აღარა ვარ და კარგად ვაცნობიერებ სად მივდივარ, შენგან მიკვირს დედა ასე რამ შეგაშინა? განა საქართველო ჩვენმა წინაპრებმა არ შემოინახეს, დედას შვილი რომ შეეძინებოდა განა ეშინოდა? ეამაყებოდა რომ საქართველოს კიდევ ერთ მეომარს უზრდიდა და ეს იცოდა თითოეულმა მათგანმა... გამოსამშვიდობებლად როდესაც მოვიდა, მითხრა: დედა, ჩქარა ჩაიცვი სალონში უნდა წაგიყვანო გაგალამაზო, რომ ასეთი ლამაზი დამამახსოვრდეო, მთელი სახლი კუთხე კუნჭული მოიარა, თავიდან ვერ მივხდი, შვილო, რას აკეთებმეთქი და მიპასუხა: არაფერია დედა სახლს ვემშვიდობებიო! დღეს ვხვდები, რომ გია ყველაფერს გრძნობდა გმირობისათვის ემზადებოდა... მახსოვს ჩემი შვილი ოზურგეთიდან გავაცილეთ. მატარებლით უნდა წასულიყო, მაგრამ მითხრა დედა გეხვეწები ნუ მოხვალ, რადგან ეს ჩემთვის უფრო მტკივნეული იქნებაო. უფრო მეტად ჩვენ მოგვიფრთხილდა, მაგრამ მშობელი რის მშობელია მაინც ჩავედით, შიშით მანქანიდან ვერ გადავედით რომ დამოინახავს არ აღელდეს-მეთქი ვიფიქრეთ, მაგრამ დაგვინახა მოვიდა ჩაგვეხუტა დაგვემშვიდობა და გვითხრა: არაფერზე არ ინერვიულოთ ყველაფერი კარგად იქნებაო... ჩემმა შვილმა ოჯახის შექმნაც ვერ მოასწრო, თუმცა მისი რჩეულიც ჰყავდა და ცოტა ხანში დაოჯახებულიყო უნდა... წასვლამდე ყველაფერი იწინასწარმეტყველა... ოჯახს ანდერძად დაუტოვა, რომ მის შემდეგ მის ოჯახში გია გოგუაძის სახელი უნდა გაგრძელებულიყო, რძალს თამუნა მიქაშავიძეს დაუბარა: თამუნა დედაჩემს და ჩემს ოჯახს მიმიხედე იცოდე, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება მე თუ ვერ დავბრუნდები, ჩემს ოჯახში გია გიგუაძის სახელი უნდა გაგრძელდეს ბიჭი უნდა გეყოლოს და მას ჩემი სახელი უნდა დაარქვა.

მისი წინასწარმეტყველება ახდა. დაიღუპა 2011 წლის 19 ივნისს თალიბების თავდასხმის შედეგად მიღებული სასიკვდილო ჭრილობებისაგან ჰელმანდის პროვინციაში.

იგი მარად ახალგაზრდა 21 წლის ჭაბუკი დარჩა. ერთი ახალგაზრდა ოზურგეთელი , რომელსაც მთელი ცხოვრება წინ ჰქონდა. ოჯახს სამახსოვროდ მისი მომღიმარი ფოტოები და წიგნები დარჩა, რომელშიც მისი გმირობის ამბებია აღწერილი. მის ოჯახში იზრდება პატარა გია გოგუაძე.

**მანანა ლომაძე**

ისტორიული მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი

---

გურული ფირალების ცხოვრებიდან

# მძლავრობა ავაზაკებისა და კომიტეტისა

**ენვერ გოგუაძე**

(დასაწყისი ალიონი №13-22)

ქუთაისის გუბერნიის, ოზურგეთის მაზრის სოფელ ხვარბეთის მცხოვრები, თეოფილე მიხეილის ძე გობრონიძე ცნობილი რევოლუციური მოღვაწე, მშვენივრად გვისურათხატებს თავის მოგონებაში კომიტეტის მიერ შემუშავებული ბოიკოტის საფუძველზე ,,საკოტეში'' შესული ყანების ცელვის მშვენიერ იდილიას.

,,მემამულეებს ხალხი ემუქრებოდა და გამოცხადებული ჰქონდათ ბოიკოტი, რომ მემამულეებს ადგილები არ ეყანებიათ (საყანეთი არ გამოეყენებიათ) თუ არ მისცემდა ხალხს მტკიცე ფასებში...

მაგრამ მემამულეებს ყავდათ სოფლად თავისი კარის კაცები, მოურავები, ჯაშუშები, შავრაზმელები, რომლებიც სთესავდნენ ყანებს სანახევროდ და მაინც არ ჩამოშორდნენ მათ.

სამაგიეროდ ორგანიზაციის დადგენილებით, ასეთი ყანები მოუცელა (მასიურად) 1905 წლის აგვისტოში 2 ღამის განმავლობაში რომლის მოწამე მე თვითონ ვარ, ხანჯლებით აკაფეს (ახალი თაობის წაერმომადგენლებმა) რამდენიმე ქცევა ახალჩაკოტილი სიმინდი. ერთ ღამეს მეც ვეახელი (ჩაკოტილ ყანების ცელვაზე) ბიძაჩემს ბარნაბა გოგატაძეს''.

ტერორისტთა მესაიდუმლე ონოფრე კეჭაღმაძე, რომელიც მაშინ საოცარი გულმოდგინებით იცავდა ,,ომერტას'', ანუ იმავე დუმილის პოლიტიკას, მოგვითხრობს:

,,ჩემს ოჯახში ხშირად იმართებოდა პატარა კრებები წრეების მოსაწყობად. ვიყავი მესაიდუმლე იარაღის შენახვაში, რომელსაც მაბარებდა (სოფელ-მიქელგაბრიელის მცხოვრები ჩემივე მეზობელი). მირიან ხომერიკი (აქტიური ტერორისტი და მესისხლე მაუზერისტი). ზოგიერთმა მოღალატე გლეხემმა გასტეხეს კრებებზე მიღებული გაფიცვის პირობა და ჩავიდნენ მემამულეების საყანე (ფართობებში მიწების დასამუშავებლად) ორგანიზაციის დავალებით პავლე კეჭაყმაძემ, მონასე ხომერიკმა, პავლე ქადეიშვილმა, მიხაკო გადახაბაძემ, კირილე მჟავანაძემ, კირილე ხომერიკმა, საკოტეში შესული სიმინდის ყანები მოვტეხეთ.

,,ყანების მოცელვა'', თანაც ,,საკოტეში შესულის'', სიმინდის ფაქტიურ აღსასრულს წარმოადგენდა მაშვრალი გლეხობისათვის. კლასობრივი მტრები-გურიელები, ნაკაშიძეები, მაჭუტაძეები, ერისთავები, რომლებიც ,,მეათედს'' ახდევინებდნენ გლეხობას, ,,ხატზე დასაფიცარი შეიქმნენ'', ეკონომიური ბოიკოტი — ყანების მოცელვა გაცილებით აღემატებოდა ტერორისტის ტყვიას. ეკონომიური ბოიკოტის ყოვლის მსგავსი ძალა აღმართს ხნავდა. განმკითხავი არავინ იყო.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი და აღნიშნულის ნიადაგზე ოზურგეთის მაზრის უფროს ერმოლოვის მიერ ოზურგეთის კაზამეტაში საგულდაგულოდ გამოკეტილი სოფელ ნაგომრის მკვიდრი ერმალო ზაალის ძე ანდღულაძე საკუთარ ,,ძველი ცხოვრების მოგონებაში'' აღნიშნავს:

,,ბოიკოტი დავადევით ყველა სახელმწიფო წარმოებას. ვერც ერთი მოქალაქე ვერ მოვიდოდა საჩივრისათვის. კომიტეტის დადგენილებით გავუფიცეთ მემამულეებს გლეხები, და მემამულეთა საყანე ადგილები დავტოვეთ დაუთესავი, დიდი გავლენა მოახდინა მათზე. რაიონულმა კომიტეტმა ნიხრი დაადგა თითოეულ ქცევა მიწას სამ მანეთად... აკრძალული იყო მიწის ყიდვა-გაყიდვა. ასეთი იყო კომიტეტის გადაწყვეტილოება.

სოფელ ლიხაურის მკვიდრი მიხეილ ივანეს-ძე ჭოხონელიძე, რომელიც იყო ნამდვილი პროფესიონალი რევოლუციონერი, და ბრწყინვალედ აღმსრულებელი კომიტეტის შავბნელ საქმეთა, აღნიშნავს.:

რევოლუციური კომიტეტის დადგენილებას, მემამულეთა მიწების სარგებლობის შესახებ, ვინც დაარღვევდა და (უგულებრყვილოდ) მოეკიდებოდა, ღამით მოუცელავდნენ მას სიმინდსა და ყანას, და ოჯახს ბოიკოტს უცხადებდნენ.

,,1905 წელს, აღნიშნავს რევოლიციურად ნაწრთობი აქვსენტი მოსეს ძე გოგიტიძე'', გურიამ, სამეგრელომ და აჭარამ მემამულეებს სამწლიანი გაფიცვა გამოუცხადა, მემამულეების მიწები დარჩა დაუთესავი. მემემულეების მომხრე კაცები დაეპატრონენ მდიდარ მიწებს და დათესეს. სიმინდმა ფოჩი რომ მოიწყო, ერთ ღამეს გაიცელა გურიის, სამეგრელოსა და აჭარის მემამულეთა ყანები. ვაჭრების ქარავნებს, ურმებით რომ მოჰქონდათ სიმინდი, წითელრაზმელები ვხვდებოდით, საქონელს მიწაზე ვყრიდით და ვჩეხავდით.

ბოიკოტი ურთულესი და უსაშინლესი ფორმა იყო პარტიულ-კლასობრივი ბრძოლისა. მასში მონაწილეობდა ყველა ასაკის ადამიანი. მათ შორის პავლიკ მოროზოვის წინამორბედი გურული ბავშვებიც კი, რომლებიც ბავშვთა საგანგებო ორგანიზაციაში იყვნენ გაერთიანებულნი.

ბავშვები ამა თუ იმ სოფლიდან კომიტეტის ზეგავლენით წყვეტდნენ ყოველგვარ კავშირს რაიმე დანაულში შემჩნეულ თანატოლებთან. მომავალი თაობა სასიკვდილო უფსკრულს უთხრიდა მავნე ტრადიციებისა და ზნეჩვეულებათა მქონე წინა თაობას. ამზადებდა ნიადაგს ტერორისტთა რეზერვის წარმოქმნისათვის, მომავალი სისხლთა თხევისათვის. იწამლებოდა სულით სპეტაკი ჯანსაღი თაობა.

გაოცებას იწვევს ამ მხრივ 1905 წლის 11 სექტემბერს გაზ. ,,ცნობის ფურცელში'' გამოქვეყნებული სოფელ ,,ქვედა ბახვში'' უჩხუბის ბავშვთა კრების დადგენილება:

,,ბავშვთა საყურადღებოდ!

ჩვენ ქვედა უჩხუბის ბავშვთა კრებამ, შემდგარმა 8 ენკენისთვეს, 1905 წელს განვიხილეთ მთელი შეცდომები ჩვენი თანატოლებისა; ივანე, პავლე და მოსე გაბრიელის ძე სალუქვაძეებისა, რომლებსაც უნდოდათ ჩვენს ერთობაში შემოსვლა, მაგრამ სიტყვას კი არ იძლეოდნენ გამოსწორების შესახებ, რის გამოც მათ მიმართ გადავწყვიტეთ სამუდამო ბოიკოტი ე.ი. შევწყვიტეთ მათთან ყოველგვარი კავშირი და მისვლა, მოსვლა მანამდის, სანამდე არ დავინახავთ სრულიად გასწორებულს და თუ ღირსად დავინახეთ, შეიძლება (ჩვენს) ამახანაგობაშიაც მივიღოთ. ამისათვის გთხოვთ და გიცხადებთ აქაურ ბავშვებს, შესწყვიტოთ მათთან კავშირი და არ იქონიოთ არავითარი კავშირი, სანამ ჩვენ არ გაგიცხადებთ''.

ქვედა უჩხუბის ბავშვთა კრება''.

ბავშვობის ასაკიდან დაიწყო ტერორისტული აქტების განსახიერება 16 წლიდან მკვლელად შერაცხულმა სოფელ ლიხაურის მცხოვრებმა თედორე შავიშვილმა, რომელიც ბორკილებში ჩაჭედილი 12 წელი იმყოფებოდა ვოლოგდის საკატორღო ციხეში. კომიტეტის განაჩენით, - მოგვითხრობს იგი,

(გაგრძელება იქნება)

---

# მარიამ ინწკირველის მოსაგონარი



მახსოვს, სამსახურში პირველად მისულს, ღიმილიანი სახით შემომხვდი. მშვიდი, საქმიანი, მეგობრული ურთიერთობები ჩვენი შეხვედრის პირველივე დღიდან დაიწყო და ათეულობით წელი გაგრძელდა სოფ. მთისპირის, სოფლის გამგეობაში. იცოდი საქმის ფასი, მოვალეობის მაღალი გრძნობის მქონემ. მოწესრიგებული, უხმაურო, პროფესიონალი იყავი. თუმცა, შენი უპირველესი ბედნიერება შენი სამი შვილი და მეუღლე იყო. ასეთივე მშვიდი და მოწესრიგებული იყავი სახლში. საოცრად ანაწილებდი დროს, შვილებისთვის ყურადღება რომ არ მიგეკლო. ბოლომდე ვერ გასწიე საკუთარი ჭაპანი. მძიმე სენმა დაგრია ხელი ისევე, როგორც შენს საყვარელ, ერთადერთ ძმას ოლეგს, რომელიც შენი გარდაცვალებიდან მალევე გარდაიცვალა. ნათიას სტუდენტობას და სოფოს დაოჯახებას მოესწარი მხოლოდ. პატარა დატოვე უმცროსი შვილი ბექა. შვილებს უშენოდ უთბობს სახლის კერას შენი მეუღლე მერაბ თალაკვაძე. გავიდა წლები, ჩვენში ისევ ცოცხლობს მოგონებები შენზე, ფოტოსურათიდან მომზირალ შენს სახეს ისევ დასთამაშებს ღიმილი.

**შორენა ბაჯელიძე**

# ნინო პუხლოვი



საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის ორგანიზაცია უსაზომო მწუხარებით გამოეთხოვა უბადლო მანდილოსანს, სიდარბაისლითა და კეთილსინდისიერებით გამორჩეულს, ჭანიეთის საჯარო სკოლის პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელს, სანიმუშო პედაგოგ ნინო პუხლოვს.

წუთისოფელი ისედაც წუთია, ერთი გაელვებაა, სიცოცხლე ხანმოკლე მოლანდებაა. შენი სიცოცხლე ისედაც ხანმოკლე აღმოჩნდა.

სიცოცხლე გიყვარდა, მაგრამ უბედურმა შემთხვევამ არ დაგაცალა ამქვეყნად ყოფნა. რატომ არგუნა უფალმა შენს ლამაზ ოჯახს გაუნელებელი და გაუსაძლისი ტკივილი.

თავზარდამცემი იყო შენი კოლეგებისა და მეგობრებისთვის ეს უსაშველო და უმძიმესი ტრაგედია. მათთვის, სადაც შენი მოღვაწეობა ღირსეულად ითვლებოდა.

შენი ოჯახის დიდი ტკივილი, პატარა მათე ანგელოზად მოევლინა და ანგელოზად გაფრინდა ცათა სასუფეველში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი სულები.

**როზა გოგუაძე,**

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

# „ისე ვიდექით, ჩვენ ერთმანეთის გულის ძგერა გვესმოდა“

## 30 წლის შემდეგ ხელმეორედ ნათხოვარი ხელი და წელთა შესატყვისი წითელი ვარდების კონა

ამ წერილის იდეა ერთ, თითქოს ჩვეულებრივ დაბადების დღეზე დაიბადა. სოფ. მაკვანეთი, ნუგზარ კალანდარიშვილისა და ქეთევან ინგოროყვას ლამაზი ეზო-კარი, ყვავილებით მოქარგული, გამრჯე მარჯვენით კვალდატყობილი. აქ ყველაფერს თავისი ფერი აქვს და სურნელი. თავისი დანიშნულება და ადგილი. აქ იგრძნობა მადლი სიყვარულის, ოჯახის, იუმორის, შრომის, დოვლათის.

სიურპრიზები დილიდანვე, მონატრებული შვილებისა და შვილიშვილების სტუმრობით დაიწყო, შვილებისგან მირთმეული ორიგინალური საჩუქარი. მერე ლამაზი სუფრა, სოფლის ბარაქითა და სიტყვაკაზმულობით, იუმორით, სიმღერით შეკაზმული. იუბილარის სადღეგრძელო და ...

მადლობა გადაიხადა ნუგზარ კალანდარიშვილმა საყვარელი მეუღლის დალოცვისთვის. მერე ათეულობით წლის წინანდელი გაიხსენა:

„სოფლის ავტობუსით ვმგზავრობდი. ერთ-ერთ გაჩერებაზე ამოვიდა ახალგაზრდა, უცნობი გოგო. ხალხით გადაჭედილი ავტობუსის კიბეებზე ერთმანეთის პირისპირ ისე ვიდექით, ერთმანეთის გულისძგერა გვესმოდა. მაშინ შემოვიდა გულში და აღარ გასულა. ერთი ათეული წელი გავიდა მისკენ სავალი გზების ძიებაში, ის უკვე ჩემს გვერდით ცხოვრობს. 30 წლის შემდეგ კიდევ ერთხელ ვთხოვ ხელს ჩემს საყვარელ მეუღლეს“.

ამ სიტყვებს წელთა შესატყვისი რაოდენობის წითელი ვარდების კონა და ბეჭედი მოაყოლა და... ეს ყველაფერი საოცრად გულისხმიერი იყო. ბედნიერებით გაოგნება. სტუმარმასპინძელთა ემოციები, გარდასულ დღეთა ხალისიანი გახსენება, დიდი დედის ქ-ნი ზორას თვალებში



აციალებული შვილის, რძლის, შვილიშვილების, ტყუპი შვილთაშვილების სიყვარულის სხივი... ღმერთმა დალოცოს, გაახაროს, ადღეგრძელოს და ამრავლოს ისინი და მსგავსი ოჯახები!

ნინო ნიკოლაიშვილი.

# ოზურგეთის ახალგაზრდა მოჭადრაკეთა ნაკრები გურიის რეგიონის ჩემპიონია

ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში ჩატარდა რეგიონული პირველობა ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების მოჭადრაკეთა ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს შორის. თითოეული გუნდი წარმოდგენილი იყო 10-10 წევრით, 12 წლამდე ასაკის რჩეული გოგონები და ბიჭებით. მწვრთნელები: ლანჩხუთიდან – ნუგზარ გვარჯალაძე, ტარიელ ხუხუნაიშვილი და ადამ ხუხუნაიშვილი, ჩოხატაურიდან – გივი ქორიძე და ზურაბ კობიძე. ოზურგეთელთა გუნდი დაკომპლექტებული იყო მწვრთნელ ელგუჯა ურუშაძის აღსაზრდელებით.

შეჯიბრება ჩატარდა წრიული სისტემით (ორ წრედ) და თითოეულ პარტიაზე ერთსაათიანი დროის კონტროლით. ქულათა ჩათვლა ხდებოდა როგორც გუნდური, ისე ქულათა ჯამური შედეგების მიხედვით.

პირველ წრეში ოზურგეთელებმა სძლიეს ჩოხატაურელებს 6,5-3,5 და ლანჩხუთელებს 5,5-4,5; ჩოხატაურელებმა კი ლანჩხუთელებს 5,5 - 4,5.

ოზურგეთელებმა მეორე წრეშიც იმარჯვეს და ორივე მეტოქე დაამარცხეს: ლანჩხუთელები 5,5-4,5 და ჩოხატაურელები 6-4; ჩოხატაურელებმა ლანჩხუთელებს 5,5,-4,5-ით აჯობეს, თუმცა ეს შედეგი საკმარისი ვერ აღმოჩნდა მეორე ადგილის დასაკავებლად, რადგან ურთიერთშეხვედრებში ლანჩხუთელებს უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდათ. ოზურგეთელი ახალგაზრდები კი დამსახურებულად გახდნენ გურიის პირველი ჩემპიონები.

გამოვლინდა ცალკეულ დაფაზე წარმატებული მოჭადრაკეებიც. 10 დაფიდან 5 დაფაზე ოზურგეთელებმა გაიმარჯვეს. ესენია მარი ღლონტი (4 შესაძლებლობიდან 3,5 ქულა), ალეკო ნიკოლაიშვილი (3,5), ლუკა ღლონტი (3,5), ზურა ანდღულაძე (3,5), ნიკა ბარამიძე (3.,5), რომლებმაც გუნდურ გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს. ლანჩხუთიდან მაღალი შედეგები აჩვენეს ქეთევან კილასონიამ (3), ლუკა ჩხაიძემ (3), მიშიკო აფხაზავამ (2,5), ჩოხატაურიდან – ლუკა ქორიძემ (4) და საბა ბოლქვაძემ (3);

გამარჯვებულ გუნდს რეგიონული თასი და პირველი ხარისხის დიპლომი გადასცა გურიის ჭადრაკის ფედერაციის ვიცე–პრეზიდენტმა ზურაბ ანდღულაძემ, სპეციალური დიპლომებით ასევე დაჯილდოვდნენ თითოეულ დაფაზე გამარჯვებული, ზემოთ აღნიშნული, მოჭადრაკეები.

# ოზურგეთელთა ორი ოქრო და ერთი ვერცხლი საქართველოს პირველობაზე ტაეკვონდოში

30-31 მაისს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ტაეკვონდოში 18 წლამდე ასაკში, სადაც წარმატებით გამოვიდა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის გუნდი (6 სპორტსმენი).

ჩემპიონატში, რომელშიც 150 სპორტსმენი მონაწილეობდა, ოზურგეთელმა სპორტსმენებმა ორი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

გოგონებში, 2004 წელს დაბადებულთა შორის, 30-35 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი მოიპოვა ლუბა დანელიამ; 40-45 კგ წონით კატეგორიაში კი სამივე ორთაბრძოლა მოიგო და ოქროს მედალს დაეუფლა მარი ინწკირველი.

ვაჟებში, 2002 წელს დაბადებულთა შორის სამიდან სამი გამარჯვებით ჩემპიონობა მოიპოვა



საბა ბიბიშვილმა.

23-27 ივლისს მოლდოვაში ტარდება ევროპის ჩემპიონატი, სადაც ოზურგეთის სასპორტო სკოლის საუკეთესო სპორტსმენი თემურ ღლონტი (შავი ქამარი I დანი) მიიღებს მონაწილეობას.

# „არწივები“ პირველი ლიგისკენ ილტვის

ალიონი. წლევანდელი სეზონი განსაკუთრებით კარგად ჩაატარა ოზურგეთის სარაგბო კლუბმა „არწივებმა“, მათ დასავლეთის ჯგუფში ყველა შეხვედრა მოიგეს, ქულათა მაქსიმუმით გახდნენ ჩემპიონები და პირველ ლიგაში გადასასვლელ მატჩებში თამაშის უფლება მოიპოვეს.

თავდაპირველად ისინი აღმოსავლეთის ჯგუფში გამარჯვებულ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გუნდს „ივერია-არმიას“ დაუპირისპირდნენ. ეს კლუბი დღეს საქართველოში ერთ-ერთი ძლიერია, სადაც ძირითადად მოწვეული ლეგიონერები თამაშობენ და მათი მიზანია, ერთი წლის შემდეგ უმაღლეს ლიგაში გადავიდნენ. თბილისში, ხელოვნურსაფარიან მინდორზე ოზურგეთელებს გაუჭირდათ თამაში და დამარცხდნენ, მაგრამ ოზურგეთში, ზვანის სტადიონზე მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და მხოლოდ ერთი ქულით 13:14 დათმეს შეხვედრა.

ამის შემდეგ „არწივების“ მეტოქე თბილისის სტუ გახდა, რომელმაც პირველ ლიგაში ბოლოსწინა ადგილი დაიკავა და ორ მატჩში უნდა გაარკვიონ ვინ ითამაშებს ახალ სეზონში პირველ ლიგაში.

30 მაისს პირველი შეხვედრა ოზურგეთში შედგა. ოზურგეთელებს გამკლავება მოუწიათ არა მარტო სტუ-ს გუნდთან, არამედ მსაჯებთანაც, რადგან ხშირ შემთხვევაში ისინი არაობიექტურად ექცეოდნენ. ოზურგეთელებს არ ჩაუთვალეს გატანილი ლელო, საჯარიმო დარტყმა. საბოლოოდ „არწივებმა“ მაინც მოიგეს შეხვედრა 17:11. მათ განმეორებითი შეხვედრის ჩატარება თბილისში მოუწევთ, სადაც თუ მსაჯებმა კვლავ არაობიექტურად იმსაჯეს, „არწივების“ შემდგომ წინსვლა შესაძლოა შეაფერხონ.

ნამდვილად მადლობა ეკუთვნის ოზურგეთის გუნდის ხელმძღვანელს თ. კალანდაძეს, რომელმაც დიდი შრომა ჩადო გუნდში და შედეგსაც იმკის. გუნდს გვერდით უდგას კლუბ „არწივების“ პრეზიდენტი ზვიად უნგიაძე, რომელიც, მიუხედავად ასაკისა, გუნდს თამაშითაც ეხმარება. მას დიდი წვლილი მიუძღვის ჩემპიონატის წარმატებით ჩატარებაში.

ზვიად უნგიაძემ გაზეთ „ალიონთან“ კლუბის წარმატებებთან ერთად პრობლემებზე ისაუბრა. მისი თქმით, საქართველოს ყველა კლუბი ლეგიონერებითაა გაძლიერებული. „არწივებს“ კი ფინანსები არ აქვთ ლეგიონერების კლუბში მოსაწვევად. ასევე საჭიროა გამორჩეული რაგბისტებისთვის ხელფასის მომატება.

ძალიან ბევრი გულშემატკივარი ჰყავს „არწივებს“, – გვითხრა მან. სრული მხარდაჭერა გვაქვს ქ. ოზურგეთის მერ ბეგი სიორიძისგან. გუნდის სპონსორებს შორის მან პირველი მერაბ ვასაძე დაასახელა: \შპს „ვასაძის პური“ 7 წელია გვერდით უდგას „არწივებს.“

უნგიაძემ ასევე მადლიერებით მოიხსენია ბიზნესმენი ილია კეჭაყმაძე, რომელმაც კლუბს ჩემპიონატის მსვლელობაში ფინანსური დახმარება გაუწია.

# 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, +20+28 | მზე, +20+27 | მზე, ღრუბელი +19+29 | ელ-ჭექი +18+25 | წვიმა +16+21 | წვიმა +16+23 | მზე, +16+25 |
| 8 ივნისი | 9 ივნისი | 10 ივნისი | 11 ივნისი | 12 ივნისი | 13 ივნისი | 14 ივნისი |
| ორშაბათი | სამშაბათი | ოთხშაბათი | ხუთშაბათი | პარასკევი | შაბათი | კვირა |